# საზოგადოებრივი ტრანსპორტი გურიაში



ფოკუს ჯგუფების ანალიზი • რაოდენობრივი კვლევის შედეგები • რეკომენდაციები



ფოკუს ჯგუფები ჩატარდა ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში. მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა „თოვლის გუნდი პრინციპით“. შეხვედრებს ჯამში ესწრებოდა 30 მონაწილე. თითოეულ შეხვედრაზე ერთი წარმომდგენელი იყო მუნიციპალური ცენტრიდან, დანარჩენი ამავე მუნიციაპიტეტის სხვადასხვა სოფლიდან.

ფოკუს ჯგუფები ჩატარდა 2023 წლის თებერვალში.

## ოზურგეთი

ფოკუს ჯგუფი ჩატარდა პირისპირ და ესწრებოდა 10 ადამიანი, 9 ქალი და 1 კაცი, ასაკობრივი კატეგორია იყო შერეული. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთაგან საკუთარი ავტომობილი ჰყავდა მხოლოდ ერთს - კაცს. ქალაქის ტერიტორიაზე ცხოვრობს მხოლოდ ერთი მონაწილე, დანარჩენები ცხოვრობენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში. 6 მათგანი არის დასაქმებული. დისკუსიისთვის გამოყენებული იყო წინასწარ შედგენილი ღია კითხვები.

### 01
**რამდენად ხშირად გიწევთ საცხოვრებელი უბნიდან გასვლა ისეთ მანძილზე, რომ ტრანსპორტი დაგჭირდეთ?**

,,ჩემს საცხოვრებელ ადგილას ვმუშაობ მეეზოვედ, რადგან სხვა ვაკანსია იქ არ გამოჩნდა. მაქვს ბაკალავრის დიპლომი, მაგრამ ოზურგეთში ვერ ვსაქმდები, ტრანსპორტი არ არის და როგორ უნდა ვიარო?!''

ახალგაზრდა ქალი, ლაითური

,,კანონის მიხედვით, 1 წლამდე ბავშვის დედას აქვს დამატებითი 1-საათიანი შესვენება, ანუ დილით რომ სამსახურში წავალ, შემიძლია შუადღით სახლში დავბრუნდე, ბავშვი გამოვკვებო და სამსახურში დავბრუნდე. ამაში უტრანსპორტობა ხელს მიშლის.''

ახალგაზრდა ქალი, სოფლად მცხოვრები

### 02
**როგორ გადაადგილდებით თქვენს ქალაქში/სოფელში? (ფეხით/საკუთარი ავტომობილით/ტაქსით/საზოგადოებრივი ტრანსპორტით)**

,,ქალაქის ტრანსპორტი არ გვაქვს, დავდივარ ფეხით. კი, ვარჯიშია ფეხით სიარული, მაგრამ ტვირთით ძალიან ძნელია, განსაკუთრებით ზამთარში და წვიმაში, მით უმეტეს, ასაკიანი ადამიანებისთვის.''

შუახნის ასაკის ქალი, ოზურგეთი

,,ხშირად დადის ჩვენთან ტრანსპორტი, თუმცა არის ისეთი უბნები, სადაც საერთოდ არ შედის. ცენტრალურ გზამდე მანძილი 1 კილომეტრი მაინცაა. მოსახლეობას უწევს ცენტრალურ გზამდე ფეხით გამოსვლა ძალიან ცუდ ამინდში.''

ახალგაზრდა ქალი, ნასაკირალი

,,მე ძალიან ხშირად არ ვმგზავრობ, მხოლოდ პროდუქტებისთვის დავდივარ ქალაქში. სანამდეც ტრანსპორტი მოდის, იმის იქით კიდე 3 კილომეტრია ჩემს სახლამდე, როცა პროდუქტი მომაქვს, მირჩევნია ტაქსის გავყვე, სახლამდე მიმიყვანს და ამდენს არ ვიწვალებ.''

ხანდაზმული ქალი, სოფელი ნაღობილევი

### 03
**საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეფასება: არის თუ არა გრაფიკი თქვენი საჭიროების შესაბამისი?**

,,ბავშვი სპორტზე დადიოდა და როცა იქიდან გამოვიდა, უნდა გამოჰყოლოდა რეისს. მძღოლი არ წამოვიდა იმის გამო, რომ ხალხი არ ჰყავდა და 9 წლის ბავშვი დამრჩა ქალაქში. რადგან ეს ბევრჯერ განმეორდა, იძულებული გავხდი, გამომეყვანა სპორტიდან. მძღოლის პასუხი ის იყო, რომ ერთი ბავშვის გამო ნასაკირალში ვერ ამოვიდოდიო. 18 მასწავლებელი დადის ამ ავტობუსით ჩვენთან, ხანდახან წვიმაში და ქარში ელოდებიან და არ მოდის.''

ახალგაზრდა ქალი, ნასაკირალი

,,სიამოვნებით ვატარებდი ბავშვებს წრეებზე, მაგრამ პატარა ბავშვით დილით ძალიან ადრე გამოხვიდე სახლიდან და საღამოს გვიან უნდა დაბრუნდე. ბიჭებისთვის არის რაღაც წრეები ლაითურში, მაგრამ გოგოებისთვის არაფერია.''

ახალგაზრდა ქალი, ლაითური

,,ოზურგეთში ყოველდღე მიწევს ჩამოსვლა სამსახურის გამო. დილით, როცა ტრანსპორტი მოდის, ჩემთვის გვიანია და საღამოს, როცა უკან ბრუნდება, ჩემთვის ადრეა. ვერ ვემთხვევი.''

შუახნის ასაკის ქალი, ვაკიჯვარი

,,ბავშვები დადიან რეპეტიტორებთან, ყველას არ ჰყავს ავტომობილი და როგორია, შრომიდან 20 კილომეტრია და ყოველდღე ატარო ბავშვი?! ამის გარდაც, რამე როცა გინდა, დილის 9 საათზე წამოხვალ და 3 საათამდე არაფერი მიდის უკან. ამდენი ხანი რა უნდა აკეთო?!''

შუახნის ასაკის კაცი, შრომა

,,ჩვენი ორგანიზაციის ოფისი არის ბოხვაურში და იქ საერთოდ 2-ჯერ დადის დღეში მარშრუტი, ვერასდროს ვერ ვისარგებლე.''

შუახნის ასაკის ქალი, ოზურგეთი

,,უნდა იყოს ერთი დრო მითითებული და იმ დროს გავიდეს, თუნდაც ერთი მგზავრი ჰყავდეს. ასე არ ხდება, აგდებს იმ რეისს მძღოლი და ელოდება, ხალხი როდის მოგროვდება, შევსებული რომ გავიდეს. იმათაც თავისი პრობლემა აქვთ, დღეში 7-8 ლარი უნდა გადავიხადოთო.''

შუახნის ასაკის ქალი, სოფელი ოზურგეთი

### 04
**არის თუ არა მგზავრობის ღირებულება თქვენთვის ხელმისაწვდომი?**

,,მარშუტის ტარიფი 2 ლარია და იმდენად ძნელი იყო უმუშევარი ხალხისთვის და ყველასთვის ამის გადახდა, რომ თავი დაანება მძღოლმა. ისე უნდა დარეგულირდეს, რომ არც მოსახლეობა დაზარალდეს და არც - მძღოლი. მძღოლი ხშირად იყო გაღიზიანებული, ეს მარშრუტი წყალზე არ დადისო. მასაც უნდა უღირდეს და ხალისით მოემსახუროს ხალხს, არ იყოს აგრესიული.''

შუახნის ასაკის ქალი, სოფელი ოზურგეთი

,,მარშრუტითაც გაუჭირდა ხალხს გადაადგილება იმიტომ, რომ ტარიფი გაიზარდა. საწვავზე ფასმა დაიკლო, თუმცა მგზავრობის ღირებულება არ შეცვლილა. მოსახლეობას არ შეუძლია იმ 1.50 ლარის გადახდა, დღეში 3 ლარი გჭირდება წასვლა-წამოსვლაში.''

ახალგაზრდა ქალი, ნასაკირალი

,,ვერ დადის ძალიან ბევრი ბავშვი წრეზე, რადგან არ აქვთ საშუალება მშობლებს ყოველდღე ტრანსპორტში ფული გადაიხადონ და უფასო წრეზეც აღარ უღირთ ტარება. წასვლა 2 ლარი, წამოსვლა - 2, უკვე ბევრია.''

შუახნის ასაკის ქალი, სოფელი ოზურგეთი

,,შრომა-ოზურგეთი 3.50 ლარი ღირს. დღეში 7 ლარი გჭირდება''

შუახნის ასაკის კაცი, სოფელი შრომა

### 05
**ახერხებთ თუ არა ჯდომას მგზავრობის განმავლობაში?**

,,ქალაქში ტრანსპორტი არაა და დავდივარ ფეხით. თუ მჭირდება, ვსარგებლობ გაღმა დვაბზუს ტრანსპორტით. ყოველ ნახევარ საათში დადის, მაგრამ ყოველთვის ძალიან გადატვირთულია. თუ პიკის საათში ჩავჯექი, მალე რომ ჩამოვდივარ, მგზავრებისგან მხვდება უსიამოვნება.''

შუახნის ასაკის ქალი, ოზურგეთი

,,ჩვენთან 7-8-ჯერ ამოდის ტრანსპორტი, 15-20 კაცი ეტევა, მაგრამ 30 მგზავრობს ხოლმე. პანდემიის დროსაც არ იცავდნენ შეზღუდვებს. მძღოლს უკანა დასაჯდომები ამოღებული აქვს თვითნებურად და ამას, რა თქმა უნდა, არავინ ამოწმებს.''

ახალგაზრდა ქალი, ნასაკირალი

,,ჩვენთანაც ამოღებული აქვთ დასაჯდომები მძღოლს და ტრანსპორტი გაუმართავია, მათ ნებაზეა ყველაფერი.''

ახლაგაზრდა ქალი, ლაითური

### 06
**არის თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტი ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის?**



ამ კითხვაზე ყველა რესპონდენტი თანხმდება, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი საერთოდ არაა მორგებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

### 07
**არის თუ არა თქვენს საცხოვრებელ ზონაში ტრანსპორტის მოსაცდელი?**

რესპონდენტები ამბობენ, რომ მოსაცდელები ყველგანაა, გარდა იმ ადგილებისა, საიდანაც ტრანსპორტი არ გადის. ასეთ სოფლებად დაასახელეს მერია და გურიანთა.

# ჩოხატაური

ფოკუს ჯგუფი ჩატარდა პირისპირ და სულ ესწრებოდა 6 ადამიანი, 5 ქალი და 1 კაცი. ქალების ასაკი იყო 18-დან 33 წლის ჩათვლით, კაცი - 41 წლის. ყველა მონაწილე ცხოვრობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში. საკუთარი ავტომობილი ჰყავს მხოლოდ ორ რესპონდენტს.

დისკუსიისთვის გამოყენებული იყო წინასწარ შედგენილი ღია კითხვები.



## 01

**რამდენად ხშირად გიწევთ საცხოვრებელი უბნიდან გასვლა ისეთ მანძილზე, რომ ტრანსპორტი დაგჭირდეთ?**

ამ კითხვაზე ფოკუს ჯგუფის მონაწილეების უმეტესობა პასუხობს, რომ თითქმის ყოველდღე უწევთ საცხოვრებელი უბნიდად გასვლა, გარდა დასვენების დღეებისა, ძირითადად, სამსახურისა და სასწავლებელში სიარულის გამო. ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ ამჟამად არ მუშაობს და ყოველდღე აღარ უწევს დაბაში ჩამოსვლა, თუმცა, როცა მუშაობდა, ძალიან უჭირდა გადაადგილება ტრანსპორტის პრობლემის გამო.

## 02

**როგორ გადაადგილდებით თქვენს ქალაქში/სოფელში? (ფეხით/საკუთარი ავტომობილით/ტაქსით/საზოგადოებრივი ტრანსპორტით)**

,,კოლეჯში დავდივარ და ყოველდღე მჭირდება გადაადგილება. ვალით ვიყიდე მანქანა, ეს რომ არ გამეკეთებინა, სხვანაირად ვერ წავიდოდი კოლეჯში და ვერ ვისწავლიდი.''

ქალი, 24 წლის, ერკეთი

,,როცა ვმუშაობდი, მეც ყოველდღე მჭირდებოდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ძალიან მიჭირდა გადაადგილება, განსაკუთრებით უამინდობის დროს იყო შეფერხება და მიწევდა ფეხით სიარული.''

ახალგაზრდა ქალი, ახალშენი

,,რაც ბახმარო დაგვემატა, 24 ადმინისტრაციული ერთეულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში და აქედან, ალბათ, მაქსიმუმ, 5 სოფელში თუ იქნება საზოგადოებრივი ტრანსპორტი.''

ახალგაზრდა ქალი, ქვენობანი

,,ხიდისთავისა და ქვენობნის საზღვარზე ვცხოვრობ და ჩემთვის სულერთია ქვენობნის ცენტრში მივალ თუ ხიდისთავის, ერთი და იგივე მანძილია. ჩემთან ახლოს არ მოდის ტრანსპორტი.''

ახალგაზრდა ქალი, ქვენობანი

,,რომ არსებობდეს კომფორტული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მოწესრიგებული, ჩემს სახლთან ახლოს მოდიოდეს, აუცილებლად გამოვიყენებდი და არც კი ვიფიქრებდი საკუთარ მანქანაზე. ძალიან დიდი დისკომფორტი რომ შემექმნა და მივხვდი, სხვა გზა არ იყო, მაშინ შევიძინე.''

ახალგაზრდა ქალი, ერკეთი

## 03

**საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეფასება: არის თუ არა გრაფიკი თქვენი საჭიროების შესაბამისი?**

,,ჩემთან დადის მარშრუტი, ერკეთის მარშრუტს ეძახიან, მაგრამ არის ბათუმის. დილის 10 საათზე არის რაიონში და საღამოს 5 საათზე გამოდის. ვისაც ბაღში და სკოლაში დაჰყავს ბავშვი და სამსახურში დადის, არავის აწყობს, მაღაზიაში თუ გამოყვები მხოლოდ. ამ ტრანსპორტზე დამოკიდებული ვერანაირად ვერ იქნები.''

ახალგაზრდა ქალი, ერკეთი

,,როცა ვმუშაობდი, მეც ყოველდღე მჭირდებოდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ძალიან მიჭირდა გადაადგილება, განსაკუთრებით უამინდობის დროს იყო შეფერხება და მიწევდა ფეხით სიარული.''

ახალგაზრდა ქალი, ახალშენი

,,სოფლებში არ არის მაღაზიები, რაიონში რომ არ ჩამოხვიდე. მე, მაგალითად, ბუკისციხეში რომ ავსულვარ, პური რომ პურია, იქ იმის მაღაზიაც არ არის. უნდა ადგე, 8 კილომეტრი გაიარო, ჩამოხვიდე ფეხით, მერე ვიღაცას ეხვეწო, რომ წაგიყვანოს. დისკომფორტია, ფაქტობრივად, ის დღე დაკარგულია და სხვას ვერაფერს დაგეგმავ.''

შუახნის კაცი, შუა ფარცხმა

,,როცა მეცოდინება, რომ 3 საათზე უნდა მოვიდეს მარშრუტი, ისე დავგეგმავ საქმეს, რომ მოვერგები.''

## 04

**არის თუ არა მგზავრობის ღირებულება თქვენთვის ხელმისაწვდომი?**

,,მუნიციპალიტეტმა ჩოხატაურის ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინოს თანხა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სუბსიდირებისთვის. მე, დასაქმებულს, რომელსაც მაქვს ხელფასი 550 ლარი, ნახევარი თანხა მიმდის ტრანსპორტში. მე თუ ვმუშაობ, იმიტომ ვმუშაობ, რომ ოჯახში შევიტანო თანხა.''

შუახნის კაცი, შუა ფარცხმა

სამი მონაწილე საუბრობს მგზავრობის მაღალ ტარიფზე, განსაკუთრებით რაიონული ცენტრიდან მოშორებულ მთიან სოფლებში, თუმცა აღნიშნავენ იმასაც, რომ მძღოლსაც სჭირდება მინიმალური შემოსავალი და საწვავის თანხა. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ იცნობს ადამიანებს, რომლებიც ვერ დაჰყვებიან ტრანსპორტს მაღალი ფასის გამო და, ეკონომიის მიზნით, დადიან ფეხით ან სარგებლობენ „ავტოსტოპით.'' საუბრობენ იმაზეც, რომ მგზავრობის ღირებულება უნდა იყოს მგზავრებისთვის ყველა სოფელში ერთი და იგივე დადგენილი ფასი და სხვაობა მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა დაასუბსიდიროს.

## 05

**ახერხებთ თუ არა ჯდომას მგზავრობის განმავლობაში?**

რესპონდენტები საუბრობენ, რომ პიკის საათებში ხშირად მარშრუტები გადავსებულია და ადგილი არ არის, რის გამოც, შეიძლება საერთოდ ვერ ისარგებლო და როდესაც იდეალურ ტრანსპორტს წარმოიდგენენ, აბობენ, რომ იდეალური ტრანსპორტი არის ის, რომელშიც ყველასთვის იქნება დასაჯდომი ადგილი და არ მოუწევთ ფეხზე დგომა.



## 06

**არის თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტი ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის?**

ფოკუს ჯგუფის ყველა მონაწილე თანხმდება, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი საერთოდ არაა მორგებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.



## 07

**არის თუ არა თქვენს საცხოვრებელ ზონაში ტრანსპორტის მოსაცდელი?**

რესპონდენტები ამბობენ, რომ ტრანსპორტის მოსაცდელები იშვიათად არის სადმე, მაგრამ სადაც არის, უმეტესად უფუნქციოა უტრანსპროტობის გამო ან ისეთ ადგილასაა განთავსებული, სადაც ტრანსპორტი არ გამოივლის.

,,თუ წვიმს, მაღაზიაში უნდა შეხვიდე და იქ გაჩერდე.''

ახალგაზრდა ქალი, ხიდისთავი

,,სოფელში თხა უფრო იყენებს ზოგან მოსაცდელებს, რადგან სადაც საჭიროა, იქ არაა.''

ახალგაზრდა ქალი, ახალშენი

,,მოსაცდელი არ გვჭირდება, არ არის ტრანსპორტი და იმიტომ.''

ახალგაზრდა ქალი, ქვენობანი

# ლანჩხუთი

ფოკუს ჯგუფი ჩატარდა პირისპირ და სულ ესწრებოდა 8 ადამიანი, აქედან 6 ქალი და 2 კაცი. ასაკობრივი კატეგორია იყო შერეული. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთაგან საკუთარი ავტომობილი არავის ჰყავს, თუმცა ზოგჯერ სარგებლობენ ოჯახის წევრების ავტომობილით. ყველა მონაწილე არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან.

დისკუსიისთვის გამოყენებული იყო წინასწარ შედგენილი ღია კითხვები.

## 01

### რამდენად ხშირად გიწევთ საცხოვრებელი უბნიდან გასვლა ისეთ მანძილზე, რომ ტრანსპორტი დაგჭირდეთ?

ამ კითხვაზე 5-მა მონაწილემ უპასუხა, რომ საცხოვრებელი უბნიდან გასვლა და რაიონულ ცენტრში ჩამოსვლა უწევს ყოველდღიურად, შესაბამისად, სჭირდებათ ტრანსპორტი. 3 მონაწილე კი პასუხობს, რომ კვირაში სამი დღე მაინც სჭირდებათ საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ძირითადად, ყოველდღიურად ტრანსპორტი სჭირდება დასაქმებულ მონაწილეებს და აბიტურიენტებს, რომლებსაც ხშირად უწევთ ქალაქის ტერიტორიაზე გადაადგილება.

„თითქმის ყოველდღიურად ვიყენებ ტრანსპორტს, ჩემი ყოველდღიური გადაადგილებისთვის მთავარი ტრანსპორტია. ძალიან უკმაყოფილო ვარ იმიტომ, რომ მე ვცხოვრობ შუხუთში და მხოლოდ ერთი ავტობუსია, ქალაქში რომ ვიარო."

ახალგაზრდა გოგო, შუხუთი

„ჩოჩხათიდან მუსიკალურ სკოლაში დადიოდნენ ბავშვები და ქირაობდნენ ტრანსპორტს, დაახლოებით 10 ბავშვი. ჩოჩხათიდან სუფსამდე ტრანსპორტი არ დადის."

ახალგაზრდა ბიჭი, ჩოჩხათი

## 02

### როგორ გადაადგილდებით თქვენს ქალაქში/სოფელში? (ფეხით/საკუთარი ავტომობილით/ტაქსით/საზოგადოებრივი ტრანსპორტით)

„მამათში სკოლის იქით არანაირი წრე არ არსებობს. სადმე ცეკვაზე, სიმღერაზე რომ ვატარო ბავშვი, სკოლას ხო ვერ გავაცდენინებ და სკოლის მერე არანაირი ტრანსპორტი არ არის, ჩემი ტრანსპორტით უნდა ვატარო."

შუახნის ქალი, მამათი

ფოკუს ჯგუფის წევრები თანხმდებიან, რომ მოუქნელი გრაფიკისა და ხშირად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობის გამო თავიანთ საცხოვრებელ ზონაში, უწევთ კერძო ტრანსპორტით სარგებლობა, იქნება ეს საკუთარი ავტომობილი, მეზობლის ავტომობილი თუ ტაქსი. თუმცა, აღნიშნავენ, რომ ტაქსი საკმაოდ ძვირია და ყველას არ აქვს სარგებლობის საშუალება. ორი რესპონდენტი ამბობს, რომ დიდ მანძილს ფეხით გადიან ცენტრალურ გზამდე, სადაც ტრანსპორტი ჩამოივლის. პრობლემად სახელდება ისიც, რომ ხშირად საზოგადოებრივი ტრანსპორტი მგზავრთა სიმრავლის გამო გადაჭედილია და ესეც შეიძლება გახდეს მიზეზი, რომ ვერ ისარგებლო.

## 03

### საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეფასება: არის თუ არა გრაფიკი თქვენი საჭიროების შესაბამისი?

„სამსახურს ვერ ვიწყებ იმიტომ, რომ ვერ მივდივარ და მოვდივარ, გრაფიკი არ აქვს."

შუახნის ქალი, მამათი

„რომ დაგჭირდეს რაღაცა მედიკამენტი, არ იცი, გამოივლის თუ არა ეგ ავტობუსი შვიდ საათზე."

ახალგაზრდა ბიჭი, შუხუთი

„პირველ რიგში, ვფიქრობ, რომ გრაფიკი უნდა გაუმჯობესდეს. ნინოშვილში ვცხოვრობ, ოთხის მერე არაფერი დადის და უკან ვერ ვბრუნდები. იმას აღარ დავიწყებ, რომ ფეხით მიწევს სიარული და არიან ბავშვები, რომლებსაც არ უღირთ ფეხით სიარული და ამის გამო ბევრ რამეს აკლდებიან. ვერ ახერხებენ ლანჩხუთში ჩამოსვლას, ტრენინგზე დასწრებას, მასწავლებლებთან სიარულს, წრეებზე და ვფიქრობ, რომ ეს გრაფიკის პრობლემა უნდა მოგვარდეს რაღაცნაირად."

ახალგაზრდა გოგო, ნინოშვილი

„ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ბევრი საჭიროება და სურვილი მაქვს. მინდა დავესწრო სხვადასხვა ტრენინგს და ა.შ. რასაც ვერ ვაკეთებ ავტობუსის გრაფიკის გამო. ავტობუსები არის, მაგრამ არაა საღამოს. კვირაში სამჯერ მაინც მიწევს ჩამოსვლა და, ჩემი აზრით, საღამოსაც უნდა იყოს."

ახალგაზრდა გოგო, ჩოჩხათი

„საღამოობით მასწავლებლისგან რომ მოვდივარ, ავტობუსს ვეღარ ვუსწრებ, მიწევს ჩემი ტრანსპორტით ვიმგზავრო და უფრო მეტი დავხარჯო."

ახალგაზრდა ბიჭი, აცანა

## 04

### არის თუ არა მგზავრობის ღირებულება თქვენთვის ხელმისაწვდომი?

„ფასი ჩვენთან არის 3 ლარი, ორივე მიმართულებით, ლანჩხუთშიც რომ წახვიდე და ოზურგეთშიც. საბოლოოდ, წასვლა-წამოსვლა 6 ლარი ჯდება. ყველას არ აქვს ამის საშუალება, ცოტა შეღავათი რომ იყოს, კარგი იქნება ხალხისთვის. შედარებით მისაღებია 2 ლარი, ხალხს ძალიან უჭირს."

შუახნის ქალი, მამათი

„მე მამათის დასაწყისში დავდივარ მასწავლებელთან აცანიდან და 1 ლარს ვიხდი, არ მაქვს პრობლემა. მესმის, საწვავი ძვირია და მარტო ჩვენ გამო ხომ არ ივლის მძღოლი, მაგრამ ძალიან გაბერილი ფასიც არ უნდა ჰქონდეს, 50 თეთრიდან 3-4 ლარზე ასვლა კატასტროფაა."

ახალგაზრდა გოგო, აცანა

„ყველგან არაა დადგენილი ფასი. ლანჩხუთიდან ლესამდე 1 ლარი ღირს, მაგრამ არიან მძღოლები, თუ ხურდა ფული არ გაქვს, და, მაგალითად, 5-ლარიანი გაქვს, რამდენსაც უნდათ, იმდენს იღებენ. მახსოვს, ერთ ბავშვს ისე ეშინოდა, ლარის ნაცვლად 2 ლარს აძლევდა ხოლმე, არ მიყვიროსო და ჩადიოდა ხოლმე."

ახალგაზრდა ბიჭი, შუხუთი

„ლანჩხუთიდან ქვიანამდე მგზავრობა ღირს 1 ლარი, მისაღებია ეს ფასი იმიტომ, რომ მძღოლს 5 ლარი საწვავი თუ უჯდება, 5 ლარი ზემოდან სხვა რაღაცებიც უჯდება და ფასის შემცირება დღევანდელ პირობებში წარმოუდგენელია, ჩემი აზრით. კარგი იქნება, თუ ცოტა თანამედროვეობაში გადავალთ და მოსწავლეებს SCHOOL CARD- ები ექნებათ და ისარგებლებენ ფასდაკლებით."

ახალგაზრდა გოგო, ნინოშვილი

## 05

### ახერხებთ თუ არა ჯდომას მგზავრობის განმავლობაში?

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები საუბრობენ იმაზე, რომ ხშირად, განსაკუთრებით დილის საათებში, ტრანსპორტი გადატვირთულია და ფეხზე დამდგარს უწევთ მგზავრობა. რესპონდენტები ამბობენ, რომ დასაჯდომი ადგილის არქონა იმდენად არ აწუხებთ, რამდენადაც ის, რომ ტრანსპორტი გაუმართავია და ფეხზე დგომა საფრთხის შემცველი.

„არ მაქვს პრობლემა, რომ შეიძლება არ იყოს ადგილი და იყოს დასადგომი, უბრალოდ, ფეხზე რომ დგახარ, სანამ დანიშნულების ადგილთან მიხვალ, შეიძლება კისერი მოიტეხო ეს მარშრუტები ისე ქანაობს ხოლმე, შეიძლება იატაკი ჩავარდეს. კატასტროფული მდგომარეობაა."

ახალგაზრდა გოგო, აცანა

## 06

### არის თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტი ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის?

ამ კითხვაზე ყველა რესპონდენტი თანხმდება, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი საერთოდ არაა მორგებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

„ეტლით მოსარგებლეებისთვის შეუძლებელია ამ ტრანსპორტით სარგებლობა, ფიზიკურად ვერ ავლენ ტრანსპორტში. მოხუცებს ძალიან უჭირთ, ორი კაცი ექაჩება, რომ ამოიყვანონ ავტობუსში."

შუახნის ქალი, მამათი

„ადაპტირებული არანაირად არ არის. ბევრი ეტლით მოსარგებლე მუშაობს და ვერ იყენებენ ტრანსპორტს."

ახალგაზრდა ბიჭი, ჩოჩხათი

## 07

### არის თუ არა თქვენს საცხოვრებელ ზონაში ტრანსპორტის მოსაცდელი?

რესპონდენტთა თქმით, მოსაცდელები მეტ-ნაკლებად ყველგან არის, თუმცა არის ადგილები, სადაც მოსახლეობას ქუჩაში, ღია ცის ქვეშ უწევს დაელოდოს ტრანსპორტს.

„მე ისეთ ადგილას ვცხოვრობ, რომ ჩემთან არის მოსაცდელი. მაგრამ არის ადგილები, სადაც ქუჩაში უნდა დაელოდო ტრანსპორტს."

ახალგაზრდა გოგო, ლესა

## "გურიის სამოქალაქო ცენტრის" რეკომენდაციები საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით

მუნიციპალიტეტმა გააუმჯობესოს როგორც კერძო, ასევე, მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება:

- შემოიყვანოს ახალი ავტობუსები
- დაიფაროს მეტი სოფელი და უბანი
- დაინიშნოს უფრო ხშირი რეისები

NDI ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი
USAID ამერიკელი ხალხისგან
გურიის სამოქალაქო ცენტრი
ქალები რეგიონის განვითარებისათვის WOMEN FOR DEVELOPMENT REGIONS